საქართველოს პარლამენტი

# განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ქუჩა, 26

№ ..............................

.............. .............................. 201 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ინიციატივას ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ “საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც კომიტეტმა მოამზადა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე, კომიტეტის წევრის, ელისო ჩაფიძის ავტორობით, 4 მარტის ბიუროს N34/6 გადაწყვეტილებით დაუბრუნდა კომიტეტს.

საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის შედეგად კანონპროექტს დაემატა ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ და ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები ერთიან პაკეტში. რაზედაც საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 2013 წლის 7 მარტს კომიტეტის სხდომაზე იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პაკეტის ბიუროსთვის წარდგენის შესახებ.

გთხოვთ, მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 50 ფურცლად

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე

№ 07-3/69
07-03 2013
50 ფურცელი